**ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგების შესახებ (13.09.2013 – 23.10.2013)**

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის "სანდო და მდგრადი საარჩევნო ინსტიტუტების და პროცესების გაძლიერება" ერთობლივი პარტნიორობით, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა 111-მა ტრენერმა, უზრუნველყო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამების განხორციელება.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო პროგრამა მოიცავდა საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეების მიმოხილვას და საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვას.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგები დაიწყო 2013 წლის 13 სექტემბერიდან და გაგრძელდა 2013 წლის 24 ოქტომბრამდე. ტრენინგები ჩატარდა სამ ეტაპად:

**13-22 სექტემბერი - I ეტაპი** (საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრი).

ტრენინგის თემატიკა:

- საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- ამომრჩეველთა სიები.

სწავლების მეთოდი:

- ელექტრონული სწავლება;
- პრაქტიკული სწავლება - საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება - როლური თამაში.

**საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა**

პირველი ეტაპის ტრენინგების განხორციელების პერიოდში (13-22 სექტემბერი) საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ/დანიშნულ წევრთა საერთო რაოდენობა - 47230.
დამსწრეთა რაოდენობა - 34813
დასწრების კოეფიციენტი - 74 %

(დასწრების სტატისტიკა რეგიონებისა და დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტების მიხედვით იხილეთ სწავლების ცენტრის ვებ. გვერდზე: http://www.electionreforms.ge/?page=news&id=457)

**3-14 ოქტომბერი - II ეტაპი** (საუბნო საარჩევნო კომისიის 13 წევრი)

ტრენინგის თემატიკა:

- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები

სწავლების მეთოდი:

- ელექტრონული სწავლება

- კენჭისყრის დღის პროცედურების ამსახველი სასწავლო ფილმის ჩვენება („კენჭისყრის დღის პროცედურები“)

**საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა**

მეორე ეტაპის ტრენინგების განხორციელების პერიოდში (3-14 ოქტომბერი) საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ/დანიშნულ წევრთა საერთო რაოდენობა - 47220
დამსწრეთა რაოდენობა - 36697
დასწრების კოეფიციენტი - 78%

(დასწრების სტატისტიკა რეგიონებისა და დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტების მიხედვით იხილეთ სწავლების ცენტრის ვებ. გვერდზე: http://www.electionreforms.ge/?page=news&id=482)

**17-23 ოქტომბერი - III ეტაპი** (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის მდივანი)

ტრენინგის თემატიკა:
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს;
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა უფლებამისილებები

სწავლების მეთოდი: პრაქტიკული სწავლება (პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სიტუაციური კაზუსები)

**საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა**

მესამე ეტაპის ტრენინგების განხორციელების პერიოდში (17 – 23 ოქტომბერი) საუბნო საარჩევნო კომისიებში არჩეულ ხელმძღვანელ პირთა საერთო რაოდენობა - 10 960
დამსწრეთა რაოდენობა - 9 991
დასწრების კოეფიციენტი - 91%

(დასწრების სტატისტიკა რეგიონებისა და დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტების მიხედვით იხილეთ სწავლების ცენტრის ვებ. გვერდზე: http://www.electionreforms.ge/?page=news&id=485)

**18-21 ოქტომბერი გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგები**

2013 წლის 27 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის საქართველოს მასშტაბით გამონაკლის შემთხვევაში შეიქმნილი 34 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთათვის ჩატარდა ერთ დღიანი ტრენინგები.

კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრებიტრენინგის თემატიკა:
- საუბნო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და უფლებამისილების ვადა
- საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების არჩევის წესი პირველ სხდომაზე (პრაქტიკული სავარჯიშო - როლური თამაში)
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში
- საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა კენჭისყრის დღეს
- კენჭისყრის პროცესი
- საარჩევნო უბნის დახურვა

სწავლების მეთოდი:

- ელექტრონული სწავლება
- პრაქტიკული სწავლება -საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომის ინსცენირება - როლური თამაში.
- კენჭისყრის დღის პროცედურების ამსახველი სასწავლო ფილმის ჩვენება („კენჭისყრის დღის პროცედურები“)

**გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგზე დასწრების სტატისტიკა**

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების განხორციელების პერიოდში (18 – 21 ოქტომბერი) კომისიებში არჩეულ/დანიშნულ წევრთა საერთო რაოდენობა - 441
დამსწრეთა რაოდენობა - 315
დასწრების კოეფიციენტი - 71%

(დასწრების სტატისტიკა რეგიონებისა და დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტების მიხედვით იხილეთ სწავლების ცენტრის ვებ. გვერდზე: http://www.electionreforms.ge/?page=news&id=486)